



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი
საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი



MES 9 21 0000691537



09/07/2021

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2021 წლის 25 ივნისს**.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/86531623916?pwd=eUU4ZjNGQmk5ZTQ3RUhkRllOU1RxUT09>

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

თორნიკე ჯობავა - სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს „ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

ნიკოლოზ მესხიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);

თამაზ ბახტაძე - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);

ქრისტინე მეფარიშვილი - სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);

ნატო მეტურიშვილი - სსიპ - საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA:

ია ერაძე - დირექტორი,

ნათელა ჩაჩუა - ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი

შპს არსი:

ნათია ნოზაძე - დირექტორი

ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“:

ნათია გოგინაშვილი – იურისტი,

ირაკლი მირუაშვილი – ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი,

მაია აზმაიფარაშვილი – მასწავლებელი.

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტები:

მარიკა კიკნაძე,

მაია ხურცილავა,

მამუკა გოგელია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 10:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა, სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ, ასევე, შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ, რეგულაციის მიხედვით, განადგურდება და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო **სხდომის დღის წესრიგი**:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის - „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ /01091/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მარიკა კიკნაძე, ლანა გაჩეჩილაძე

2. შპს არსისთვის – „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /01094/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მათა ხურცილავა, მათა აბდალაძე

3. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

წარმდგენი: მამუკა გოგელია, მაცვალა დარსანია

ვინაიდან საბჭოს მდივანი არ ესწრებოდა სხდომას, თავმჯდომარემ გიორგი გამყრელიძეს დაავალა მდივნის მოვალეობის შესრულება, რომელმაც თანხმობა განაცხადა.

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის - „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ /01091/პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ლანა გაჩეჩილაძემ. მისი თქმით, ვიზიტი SBA-ში განხორციელდა 14 მაისს დისტანციურად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მომზადების პროგრამა „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“. მარიკა კიკნაძე იყო დარგის მოწვეული ექსპერტი საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისი

მუხლის შესაბამისად. რაც შეეხება პროგრამას, ეს არის მომზადების პროგრამა, მეხუთე დონე და მისი ხანგრძლივობა 8 კვირაა. რაც შეეხება მსმენელთა რაოდენობას, ორგანიზაცია ითხოვს ოთხი ჯგუფის ერთდროულად მიღებას, ჯამში - 80 მსმენელის რაოდენობით. განხორციელების ადგილია ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22. დაშვების წინაპირობად პროგრამაში განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება. კვირეული საათობრივი დატვირთვა - 8 სთ., ჯამში - 64 საათი. დარგის ექსპერტის შეფასებით, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა მისაღწევი სწავლის შედეგების ადეკვატურია და უზრუნველყოფს ისეთ მსმენელთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება იძლევა სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას პროგრამის განხორციელების ვადაში.

პროგრამას აქვს 4 სწავლის შედეგი:

1. სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში რეგისტრაცია;
2. სატენდერო განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის მომზადება;
3. სატენდერო წინადადების და წარსადგენი დოკუმენტაციის მომზადება;
4. ელექტრონულ ტენდერებში მონაწილეობა;

პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით.

პროგრამით გათვალისწინებული შედეგები სრულად არის მიმართული პრაქტიკული უნარების გამომუშავებაზე, რაც პირდაპირ გულისხმობს სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდის შესწავლას. დარგის ექსპერტის განმარტებით, 2010 წლიდან მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა და ელექტრონული შესყიდვებია ამ ეტაპზე სრულად. შესაბამისად, ძალიან აქტუალური პროგრამაა. გარდა ამისა, სასწავლებელს წვდომა აქვს სახელმწიფო შესყიდვების ვებგვერდზე არსებულ პილოტურ ვერსიაზე, რაც აძლევს მსმენელს შესაძლებლობას, სისტემის დემო ვერსიის გამოყენებით გამოაცხადოს ტენდერი, განიხილოს უმცირესი ფასის მქონე პრეტენდენტი, მიიღოს მონაწილეობა ტენდერში და ელექტრონულ ვაჭრობაში და სხვა. აღნიშნული უნარების გამომუშავება გაუადვილებს მსმენელებს, მარტივად ადაპტირდნენ სამუშაო გარემოში.

ყველა სტანდარტი დაკმაყოფილებულია. რეკომენდაციაც არ ყოფილა.

პროგრამაში ჩართულია ორი პირი. ორივე პირი ამჟამად დასაქმებულია სახელმწიფო შესყიდვების სფეროში და თითოეულს სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით აქვს მინიმუმ 7 წლიანი გამოცდილება. ამასთანავე ერთს აქვს ფორმალურ განათლებაში და მეორეს არაფორმალურ განათლებაში სწავლების გამოცდილება.

ლანა გაჩეჩილაძემ საბჭოზე წარმოადგინა ფოტომასალა: სამუშაო გარემო, B გარემოს ფოტო, სადაც ჩატარდება მეცადინეობა. კვირეული, საათობრივი დატვირთვიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შაბათ დღესაც მუშაობს კოლეჯი, შესაძლებლად მიიჩნის აღნიშნული რაოდენობის მსმენელების მიღება, რაც მოთხოვნილი აქვთ - 80. შემდეგ წარმოადგინა სადემონსტრაციო საშუალებების ფოტო აუდიტორიაში და უსაფრთხოების ფოტო.

ლანა გაჩეჩილაძემ ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი ახორციელებს მომზადების და გადამზადების არაერთ მოკლევადიან პროგრამას. უკვე დაახლოებით 160 მსმენელისთვის აქვს გაცემული სერტიფიკატი კოლეჯს კანონმდებლობის ყველა წესის დაცვით.

საბჭოს თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ პროგრამა ძალიან მოთხოვნადი და სპეციფიურია და დარწმუნებულია, რომ ბიზნესის შესაბამის წარმომადგენლებთან თანამშრომლობს დაწესებულება, რომელთაც აქვთ მოთხოვნა ასეთი ტიპის კადრებზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ია ერაძემ თქვა, რომ ნამდვილად აქტუალური და მნიშვნელოვანი პროგრამაა და ისურვებდა, რომ სივრცეში მსგავსი ტიპის პროგრამები უფრო მეტი იყოს. ამაყობს იმ ადამიანებით, ვინც ამ პროგრამაში ჩაერთო და საჯაროდ მადლობა გადაუხადა მათ, მიუხედავად მათი დატვირთულობისა, ვინაიდან ისინიც გრძნობენ, რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროგრამის არსებობა, ფიქრობენ რომ სახელმწიფო თანხები უნდა დაიხარჯოს მიზანმიმართულად და სწორად და სწორედ ამას უზრუნველყოფს ამ პროგრამის ფორმალურ გარემოში არსებობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, როგორ უზრუნველყოფს დაწესებულება შესაბამისი პირებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ამ პროგრამის შესახებ, ხომ არ აქვთ რამე გეგმა, იცის ნამდვილად არის მოთხოვნა, რაზეც ია ერაძემ უპასუხა, რომ არცერთი პროგრამა არ დაუმატებიათ კვლევის გარეშე და ძალიან ბევრი ადამიანია, მათ შორის პროფესიონალები, ვინც არაფორმალურად ასწავლის და ახორციელებს ამ პროგრამას და მათგანაც არის დიდი მოლოდინი, თუ როდის იქნება მსგავსი ტიპის პროგრამა. პრაქტიკამაც უჩვენა, რომელი პროგრამა იქნება მოთხოვნადი ბაზარზე. შესაბამისად, მარტივია და ასევე ეხმარებათ სოციალური ქსელი და პარტნიორი ორგანიზაციებიც ჩართული არიან.

მარიამ ქუჩულორია ალნიშნა, რომ ეს პროგრამა არის ტიპიური მაგალითი, თუ როგორი ტიპის უნდა იყოს მოკლევადიანი პროგრამები, კონკრეტული უნარი და სწრაფი დასაქმება. მისი აზრით, ძალიან კარგი მაგალითია, რომელიც უნდა გამოვყოთ და ვაჩვენოთ, რადგან მართლა ძალიან კარგი პროგრამაა.

გიორგი გამყრელიძემ ალნიშნა, რომ მისი აზრით, უფრო მეტი ინტერესი უნდა გამოთქვან კომპანიებმა და კომპანიის თანამშრომლებმა. მას რომ კომპანია ჰქონდეს, აუცილებლად გადაამზადებდა ამ მიმართულებით თანამშრომლებს. ესაა ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც ამ სისტემაში მუშაობის ცოდნასთან არის დაკავშირებული. მეორე კიდევ არის ის, რომ როდესაც უკვე უშუალოდ ტენდერში მონაწილეობ, იქ ძალიან აქტუალურია იმ ბიჯების განსაზღვრა. დარწმუნებულია, რომ გამოუცდელი ადამიანი, რაც არ უნდა მოტივირებული იყოს და კარგი პოტენციალი ჰქონდეს კომპანიის პროექტის განხორციელების, ვერ მოიგებს, თუ ამაში ძალიან კარგად არ არის გარკვეული, რადგან ძალიან რთულია. როცა თვითონ აკვირდება ხოლმე მიმდინარეობას, როგორც გარე პირი, ძალიან საინტერესოდ ხდება ხოლმე იმ პროცესების განვითარება. ასევე, ბევრი კომპანია ვერ იღებს მონაწილეობას და არ აქვთ ცნობიერება ამ ვებგვერდის შესახებ. ყველაზე დიდი შემსყიდველი, სამწუხაროა, მაგრამ მაინც სახელმწიფოა დღეს. აქედან გამომდინარე, ფიქრობს, რომ უფრო მეტი მოტივირება ექნებათ არა დამწყებებს, არამედ ვინც ძალიან გარკვეულები არიან ბიზნესში და დღესაც ოპერირებენ ამ ბიზნეს საქმიანობით, ალბათ ისინი იქნებიან უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულები, რომ ის უნარ-ჩვევები, რაც დაკავშირებულია ამ კონკრეტული „მექანიზმის“, პლატფორმის გამოყენებასთან, უფრო მეტად კარგად გაეცნონ მას.

ია ერაძე დაეთანხმა და თქვა, რომ თვითონ იყო ამის ნათელი მაგალითი. დაწესებულებას გაუჩნდა სურვილი, სახელმწიფო შესყიდვების ერთ-ერთ ტენდერში მიეღო მონაწილეობა. რატომღაც თავი მოიწონეს და 5 ხელშეკრულების ნაცვლად, ატვირთეს 10. ტექნიკური ხასიათის შეცდომა მოუვიდათ თანამშრომლებს. რა თქმა უნდა, ეს იყო დიდი გამოცდილება მათთვის, რადგან მოიგო სხვა დაწესებულებამ, რომელსაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა და თვითონ დამარცხდა ტენდერში.

ნიკოლოზ მესხიშვილმა ალნიშნა, რომ საიტზე, სადაც რეალურად ხდება ამ პროგრამის სწავლება, თანდართულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემის მომხმარებლის სახელმძღვანელო და მოწონება გამოთქვა ამასთან დაკავშირებით

ია ერთდემ უპასუხა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ძალიან ბევრი სახელმძღვანელო არსებობს, თუმცა პროფესიული განათლება ეს არის სწავლა კეთებით და, რა თქმა უნდა, შედეგები არის ბევრად უკეთესი, ასევე დოკუმენტების მომზადების ნიუანსები.

ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ გარდა ზემოთ თქმულისა, საუბარია ანალიტიკური უნარ-ჩვევების გაძლიერებაზეც, რომ ანალიზს ასწავლიან, რადაცეები არის შინაარსობრივად დატვირთული და მხოლოდ ტექნიკური შემსრულებელი არ არის, ამიტომ გავიდა პროგრამა მეხუთე დონეზე.

გიორგი გამყრელიძის რჩევა იყო, იმ ორმა პირმა, რომელიც ჩართულია პროგრამის სწავლებაში, ვისაც უკვე 7 წლიანი გამოცდილება აქვს, ის უნარები ასწავლონ რაც უფრო პრაქტიკული გამოცდილებიდან არის დაგროვილი. ადამიანმა უნდა შეასწავლოს თავისი გამოცდილებით, რამ იმუშავა და რამ - არა. მთავარია, რომ ბიჯების განსაზღვრა ზუსტად მოახდინოს, რომ სხვას აჯობოს. ასევე ძალიან თავისებურია ტენდერები, რომელიც მომსახურებას ეხება.

დარგის სპეციალისტი თამარ კიკნაძე დაეთანხმა გიორგი გამყრელიძეს გამოცდილებასთან დაკავშირებით. მან ასევე აღნიშნა, რომ გასაუბრების ეტაპზე ზუსტად იგივე კითხვა დასვა, რაც ბატონმა ნიკოლოზმა, რომ ძალიან კარგად აქვს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მომზადებული მომხმარებლის სახელმძღვანელო, თუმცა მომხმარებლის სახელმძღვანელო არის უფრო ტექნიკური კუთხით, მაგალითად, ატვირთვის პროცესში სად უნდა ატვირთოთ, რომელ ღილაკს უნდა დააჭიროთ, პირველ რიგში, ჯერ დოკუმენტი რომ ატვირთოთ და ფასი შემდეგ დააფიქსიროთ და მსგავსი რადაცეები, ეს სახელმძღვანელო, სამწუხაროდ, არ ასწავლის უნარ-ჩვევებს და თუნდაც იმ ბიდინგის პროცესს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ზოგადად, სახელმწიფო შესყიდვებში. ქალბატონმა იამ რაც ახსენა, დოკუმენტებთან დაკავშირებით, ის რომ 5 დოკუმენტს ითხოვდნენ და 10 ატვირთეს, ესეც კარგად უნდა ჰქონდეს თვითონ მიმწოდებელს გააზრებული, რომ აქ რაოდენობაზე არ არის საკითხი, ითხოვს 5-ს ატვირთე 5, ოღონდ ატვირთე სწორად. კიდევ ერთს დაამატებდა, რაც მას ძალიან მოეწონა ამ პროგრამაში, ეს არის, რომ მათ გამოყენებული აქვთ დემო ვერსიები და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსგან უკვე მიიღეს დასტური და დარეგისტრირდნენ დემოვერსიაზე, როგორც შემსყიდველი, ასევე მიმწოდებელიც და მსმენელები შეძლებენ პრაქტიკულად თვითონვე განახორციელონ, თვითონვე ატვირთონ, მიიღონ ტენდერში მონაწილეობა. გარდა ამისა, თავიანთი უფლებები უნდა ასწავლონ მიმწოდებლებს, ამაში იგულისხმება ის, რომ მიმწოდებელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, შენიშვნის გასწორება რა ეტაპამდე შეუძლია, რომ სანამ წინადადების მიღება დაიწყება, სანამ სტატუსამდე გადავა, იქამდე აქვს ვადა და შემდეგ უკვე ვერაფერს შეცვლის. მსგავსი ტიპის რადაცეები აუცილებელია, მიმწოდებელმა იცოდეს, რათა ასეთი გამოცდილი ორგანიზაცია, როგორც ქალბატონი იასია, არ დაიჩაგროს მხოლოდ იმიტომ, რომ ტექნიკური კუთხით ვერ შეძლეს რადაცის გაკეთება,

ლანა გაჩეჩილაძემ მაძლობა გადაუხადა დარგის ექსპერტს კომპეტენტური ჩართულობისთვის და აღნიშნა, რომ ძალიან გაუჭირდა მისი მოძიება, რადგან სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ რატომღაც თანამშრომლობაზე ბოლო წუთში უარი თქვა და ძლივს მიაგნო დარგის ექსპერტს.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-სთვის - „სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა“ /01091/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა /01091 (დანართი 1).

2. შპს არსისთვის – „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /01094/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ითხოვა, რომ რადგან მეორედ ხდება ამ პროგრამის განხილვა, ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილონ იმ საკითხზე, თუ როგორ გამოსწორდა საბჭოს მითითებები და რა არის სიახლე.

დასკვნის პრეზენტაცია საბჭოზე წარადგინა ექსპერტმა მაია ხურცილავამ. მან თქვა, რომ ეს არის შპს არსის მიერ წარმოდგენილი პროფესიული მომზადების პროგრამა „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით. დისტანციური ვიზიტი შპს არსში განხორციელდა ცენტრის წარმომადგენელ მაია აბდლაძესთან ერთად. პროგრამა შემოტანილია მეორედ, ვიზიტი განხორციელდა მესამედ. პირველი ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიმართ გაიცა რეკომენდაცია, როგორც ექსპერტის მიერ, ასევე საბჭოს წევრების მიერ, კერძოდ, საბჭოს წევრების რეკომენდაცია იყო - სასურველი იყო პროგრამაში გამოჩენილიყო თეორიული კომპონენტი, გამიჯნულიყო პრაქტიკისგან და აქცენტი გაკეთებულიყო ამაზე და პროგრამის სწავლის შედეგშიც ყოფილიყო გამოკვეთილი თეორიული ცოდნა. საბჭოს მიერ განესაზღვრა ვადა დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად, დაწესებულებამ ხარვეზი გამოსწორა, თუმცა მეორე განხილვის ეტაპზე პროგრამაში არ ჩანდა მისაღწევი სწავლის შედეგის შეფასება. შეფასების სისტემაში არ იყო თეორიული ცოდნის დადასტურებაზე აქცენტი გაკეთებული. შესაბამისად, დაწესებულებამ მაისის თვეში ხელახლა წარმოადგინა განახლებული პროგრამა, სადაც გაითვალისწინა ორივე ვიზიტის ფარგლებში როგორც ექსპერტის, ასევე საბჭოს წევრების მიერ გამოთქმული რეკომენდაციები. დაწესებულებამ გაითვალისწინა როგორც ბაზრის კვლევის ნაწილში

ექსპერტების რეკომენდაცია, ასევე, თეორიული კომპონენტი გამოყო პროგრამაში და შეფასებაშიც ასახა. მეცხრე კვირაში, პროგრამის დასასრულს ხდება თეორიული ცოდნის დადასტურება. პროგრამა არის მესამე საფეხური, ხანგრძლივობა - 9 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - 10, ერთიანად მოთხოვნილი რაოდენობა - 40. განხორციელების ადგილი - ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. N4.

ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის ქვესტანდარტების მიხედვით:

1.1. აღნიშნა, რომ დაწესებულებამ გააფართოვა გამოკითხვის არეალი და 8 დიდი კომერციული ორგანიზაცია გამოკითხა, რომელთა საჭიროებაზეც დააფუძნა განახლებული პროგრამა. ასევე გამოკითხა 25 მცირე მეწარმე, რომლებიც დაინტერესდნენ აღნიშნული პროგრამით, რადგან ყოველდღიურობაში თავიანთი საბუღალტრო საქმიანობა თავად ასახონ ამ ელექტრონულ პროგრამაში და მათთვისაც იყოს სასარგებლო და კომფორტული.

1.2. პროგრამის სახელწოდება მეორედ წარმოდგენის შემთხვევაში იყო უკვე დაკორექტირებული. ამასთან დაკავშირებით საბჭომ გამოთქვა მოსაზრება, რომ სახელწოდება იქნებოდა შეცდომაში შემყვანი, შესაბამისად, დაწესებულებას ეს ნაწილიც აქვს უკვე შეცვლილი. ეს არის პირდაპირ და მარტივად გასაგები „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“, რომელიც შეესაბამება პროგრამის შინაარსს და გამომდინარეობს სწავლის შედეგებიდან და თემატიკიდან.

1.3. პროგრამის მიზანი მკაფიოდ არის ფორმულირებული. ამ ნაწილში კურსდამთავრებული შეძლებს ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობას, მარტივი ბუღალტრული ოპერაციების შესრულებას: პირველადი ბუღალტრული დოკუმენტაციის საფუძველზე მონაცემთა ელექტრონულ სისტემაში შეყვანას, ანგარიშთა გეგმის გამოყენებით, მონაცემთა დაკორექტირებას და შენახვას.

1.4. პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმა-გასაუბრება.

1.5. პროგრამა შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მესამე დონეს.

1.6. პროგრამის სწავლის შედეგი აღწერილი ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით. პროგრამის ფარგლებში მოცემულია სამი სწავლის შედეგი: 1. ბუღალტრული აღრიცხვის საგნის ელემენტების შინაარსის და თავისებურების ჩამოყალიბება, 2. პირველადი დოკუმენტების მონაცემების შეტანა კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში, 3. კომპიუტერულ საბუღალტრო პროგრამაში მონაცემების რედაქტირება და მონაცემების სენახვა.

1.7. პროგრამის ხანგრძლივობას შეადგენს 9 კვირას და კვირეული დატვირთვა არის 10 საათი.

1.8. პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევაში გამოყენებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მეთოდი, რომლის ფარგლებშიც მასწავლებელი ახდენს თეორიული მასალის ახსნას და ასევე პროგრამის ფარგლებში ხდება თეორიული მასალის დადასტურება, გარდა პრაქტიკული უნარებისა.

1.9. პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებას. იყენებენ ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამას, ერთ-ერთ ვერსიას, რომლის დემოვერსია აქვთ კომპიუტერებში ჩატვირთული სწავლებისთვის.

1.10. მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას. პროგრამის ფარგლებში გამოყოფილია 6 საათი, საიდანაც 2 საათი ეთმობა თეორიული ცოდნის შეფასებას, 4 საათი კი - პრაქტიკული უნარების დადასტურებას. ასევე, პროგრამის ფარგლებში გაწერილია, რომ სტუდენტს აქვს საშუალება, თუ ერთხელ ვერ მოახდინა ცოდნის დადასტურება, არაუგვიანეს 10 დღისა განმეორებით გაიაროს და დაადასტუროს თავისი ცოდნა.

რაც შეეხება მეორე სტანდარტს, პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. დაწესებულებამ დამატებით ჩართო კიდევ ერთი პირი, რომელსაც უდასტურდება როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული კომპეტენცია ამ მიმართულებით.

მატერიალური რესურსითაც უზრუნველყოფილია პროგრამა. დაწესებულება არის ავტორიზებული კოლეჯი, რომელსაც აქვს პროფესიული პროგრამების განხორციელების დიდი გამოცდილება, ამ ბაზაზე მოხდება ამ პროგრამის განხორციელება. დაწესებულებას ამ მიმართულებითაც აქვს გარკვეული ნაბიჯი, ერთი ოთახი განმანათლებელი პირთათვის დამატებით კეთილმოაწყობ და სამუშაო გარემო შეუქმნა, გარდა სასწავლო გარემოსი. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია და მორგებულია მსმენელის საჭიროებაზე, დაწესებულებას აქვს როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალური სახითაც წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ადგილზე.

რაც შეეხება უსაფრთხო სასწავლო გარემოს, მასთან დაკავშირებითაც დაწესებულებას ჰქონდა რეკომენდაცია, შესაბამისი ორგანოს მიერ განესაზღვრა გარკვეული ვადა უსაფრთხოების ღონისძიებების მოწესრიგების მიზნით. პირველი ვიზიტის ფარგლებში თავად ჰქონდათ ანგარიში გაკეთებული. წინამდებარე ვიზიტამდე დაწესებულებამ შესაბამისი ორგანოს მიმართა და მათ მიერ გაცემული დასკვნა წარმოადგინა. მათ აქვთ დადებითი დასკვნა როგორც სახანძრო უსაფრთხოების კუთხით, ასევე შენობის კუთხითაც. გარდა ამისა, თავადაც აქვთ სახანძრო უსაფრთხოების ზომები შემუშავებული.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს მიმართა, რომ გამოეთქვა აზრი, თუ რამდენად გამოსწორდა ხარვეზები და რამე ხომ არ ჰქონდა დამატებით სათქმელი საბჭოს წევრების წინაშე, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ როგორც დასკვნაშიც აღნიშნულია, ხარვეზი და რეკომენდაცია ამ ეტაპზე არ არის. დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, რაც მიეცათ, შესაბამისად, მისი მხრიდან არც ხარვეზია და არც რეკომენდაცია და უნდა, რომ წარმატება უსურვოს მათ მას შემდეგ, თუ საბჭო ჩათვლის, რომ უნდა მიიღოს დადებითი გადაწყვეტილება, რადგან ეს მათთვის ერთგვარი გამოცდილებაც იყო თავიანთი საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ნატო მებურიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად მნიშვნელოვანი პროგრამაა, საინტერესოდ არის აწყობილი, გამოსწორებულია წინა ხარვეზები, თუმცა აინტერესებდა, რამდენად არის შესაძლებელი, რომ მხოლოდ ზოგადი განათლების მქონე ადამიანმა ეს პროგრამა სრულყოფილად ისწავლოს და შემდეგ შესაბამისად დასაქმდეს, რადგან დაშვების წინაპირობაში არის მხოლოდ ზოგადი განათლება. არც ბაკალავრი და არც სამუშაო გამოცდილება არაა მოთხოვნილი. დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ ეს პროგრამა შეესაბამება მესამე დონეს, შესაბამისად, აქ საბაზისო თეორიული ცოდნა მიეწოდება და ტექნიკური უნარი გამოუმუშავდება, რომ პროგრამაში იმუშაოს. ეს არის ბუღალტრის დამხმარე ადამიანი, რომელიც ელექტრონულ სისტემაში მოახდენს დოკუმენტაციის და ინფორმაციის ასახვას.

გიორგი გამყრელიძემ დაამატა, რომ კითხვა არ აქვს, პროგრამას კარგად იცნობს. მსჯელობა ჰქონდათ ამ საკითხთან დაკავშირებით, ანუ ბუღალტერი იქნებოდა თუ ბუღალტრის დამხმარე და ახლა ყველაფერი ნორმალურად არის.

ნიკოლოზ მესხიშვილმა მაძლობა გადაუხადა სასწავლებელს რეკომენდაციების გათვალისწინებისთვის და აღნიშნა, რომ ფაქტიურად აღარავის აღარ ჰქონდა კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები და მან წარმატება უსურვა დაწესებულებას.

დაწესებულებამ მაძლობა გადაუხადა საბჭოს სწორი ხედვების შემოთავაზებისათვის, მაძლობა უთხრა ექსპერტს, რომ მან ძალიან სწორად დაანახა განვითარების ხაზი, რადგან მათთვის ეს არის პირველი ნაბიჯები მომზადების პროგრამის განხორციელებისთვის და ისინი დაინტერესებული არიან, სწორად ჰქონდეთ პროგრამები გაწერილი. მათ დაინახეს, რომ ნამდვილად სჭირდებოდა ამ პროგრამას კიდევ მეტი დახვეწა და დამუშავება, გაითვალისწინეს

ყველა რჩევა სრულად და ნამდვილად არიან მოტივირებულები, რომ მოთხოვნადი პროგრამები შესთავაზონ შრომის ბაზარს და პასუხისმგებლობით განახორციელონ ეს პროგრამა.

საჭოს თავმჯდომარემაც აღნიშნა, რომ მასაც უხარია, რომ კარგ ეტაპამდე მივიდნენ და კენჭისყრაზე დააყენა შპს არსისთვის – „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /01094/ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად,

შპს არსს (ს/კ: 216427999) მიენიჭოს უფლება, განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - „ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა“ /01094 (დანართი 2).

3. ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადი“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა ან საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს თხოვნით მიმართა, ყურადღება გაემახვილებინა იმ თემებზე, რაზეც 24 ივნისის საბჭოზე ისაუბრეს.

ექსპერტმა თქვა, რომ პროგრამები იდენტურია თავისი სწავლის შედეგებით, როგორც წინა გადამზადების პროგრამის შემთხვევაში და ეს არის USAID-ის და CTC-ის მიერ შემოთავაზებული პროგრამები, რაზეც წინა საბჭოზე იყო საუბარი, განსხვავება არაფერი არ არის, გარდა რეკომენდაციებისა და ხარვეზებისა. ხარვეზები დაფიქსირდა 1.3 , 1.4 და 1.10-ში ქვესტანდარტში.

პროგრამაში წარმოდგენილია სამი შედეგი, მაგრამ თემატიკაში ჩაშლილია 7 სხვადასხვა შედეგი. თავსებადი არ არის არც შედეგების რაოდენობა და არც სახელწოდებები. შესაბამისად, განსხვავებულია კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროგრამა. იქაც არის შეუსაბამობები, შეფასების მეთოდებად გამოყენებული აქვს მხოლოდ ტესტირება და ჩათვალეს ხარვეზად.

რაც შეეხება წინაპირობებს, განსხვავებულია ელექტრონულ განაცხადში წარმოდგენილ და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ პროგრამაში. განისაზღვრა 1 წლიანი გამოცდილება ტურისტულ ინდუსტრიაში, ასაკი 18 წელი და გასაუბრება. თუმცა დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში არის საბაზო განათლება და 1 წლიანი გამოცდილება. აქაც აცილება დამტკიცებულ პროგრამასა და ელექტრონულ განაცხადს შორის. რაც შეეხება უსაფრთხო სასწავლო გარემოს, აქაც წარმოდგენილი აქვთ შუალედური დასკვნა, დათვალიერებით, ფოტომასალით შესრულებულია, მაგრამ არ აქვთ საბოლოო დასკვნა შესაბამისი ორგანოს მიერ შესრულებასთან დაკავშირებით, რომ ეს ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული არის.

რაც შეეხება სწავლის მეთოდებს, აქაც ელექტრონულ განაცხადში არ არის ზოგ კვირაში დაფიქსირებული სწავლის მეთოდები, თუმცა დაფიქსირებულია კოლეჯის დირექტორის დამტკიცებულ ბრძანებაში.

აქაც აცილება, როგორც სწავლების მეთოდებში, ასევე შეფასების მეთოდებში და ა.შ.

სხვა განსხვავება სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამებთან არაფერია.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებას კითხვით მიმართა, იზიარებდნენ თუ არა ექსპერტის მოსაზრებას ხარვეზებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხარვეზებს ადასტურებს. ტექნიკური ხასიათის შეცდომები გაიპარა, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია. დანარჩენი, ეს პროგრამა იდენტურია სხვა კოლეჯის პროგრამების, ესწრებოდა წინა დღის საბჭოს და აქვს ინფორმაცია.

დაწესებულებამ დაამატა, რომ როგორც სხვა კოლეჯებს განესაზღვრათ ერთთვიანი ვადა გამოსასწორებლად, იქნებ მათაც მიეცეთ, დაელოდება მითითებებს და ზედმიწევნით ზუსტად გაითვალისწინებენ და შეასრულებენ რეკომენდაციებს.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ თუ მხოლოდ ერთი სტანდარტია დარღვეული, რა თქმა უნდა, საბჭოს შეუძლია, მისცეს გამოსწორების ვადა.

მაყვალა დარსანიამ დაამატა, რომ ის იყო ექსპერტთან ერთად ამ პროგრამაზე და პროგრამულ ნაწილში ხარვეზები იყო სხვებისგან განსხვავებით და ყველაზე მნიშვნელოვანი ხარვეზი ის იყო, რომ შეფასების სისტემა, შეფასების მეთოდები არ ჰქონდა გააზრებული დაწესებულებას კარგად და სადაც პრაქტიკული კომპონენტი იყო და პრაქტიკული დავალებით ან პროცესზე დაკვირვებით უნდა ყოფილიყო შეფასება, იქ იყო გამოკითხვა. ასევე დიდი გაუგებრობა გამოიწვია იმან, რომ დირექტორის მიერ დამტკიცებულ პროგრამაში სხვანაირად იყო ეს ასახული და ელექტრონულ სისტემაში ატვირთულში, სხვა ფორმით. აქედან გამომდინარე, შედეგებიც სხვა იყო, ვიდრე თემატიკაში მითითებული. რაც შეეხება სახანძრო უსაფრთხოებას, 131-ე დადგენილებით, უნდა იყოს დასკვნა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიწერილი აქვთ ამასთან დაკავშირებით და შეუძლიათ გააზიარონ.

ლანა გაჩეჩილაძემ დაზუსტების მიზნით ჰკითხა დაწესებულებას, ჰქონდათ თუ არა საბოლოო დასკვნა, აქტი, სადაც დასტურდება, რომ ხარვეზები გამოსწორებულია, თუ მათ აქვთ ისევ მიწერილობა შესრულებასთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების პასუხი იყო, რომ იყვნენ

შემოწმებაზე ჩამოსულები, შეუდგინეს ოქმი და მისცეს დამატებითი რეკომენდაცია. რეკომენდაცია არის მხოლოდ ტრენინგების შესახებ, რომ ტრენინგებს საჭიროებენ დაწესებულების თანამშრომლები.

ლანა გაჩეჩილაძემ დაამატა, რომ თუ საბჭო ამ აქტის საფუძველზე მიიჩნევს, რომ მეორე სტანდარტის ხარვეზი გასწორებულია, დარჩება მხოლოდ პირველ სტანდარტთან დაკავშირებული ხარვეზი, პროგრამულ ნაწილში. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვადის მიცემა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ორი სტანდარტის დარღვევა გამოდის და საბჭომ პირდაპირ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით, რადგან კოლეჯი არის ავტორიზებული, არ თვლის აუცილებლად, რომ ისევ შემოწმდეს სახანძრო უსაფრთხოება ან შენობის მდგრადობა მოკლევადიანი პროგრამების დროს. მისთვის, პირადად, პრობლემა არ არის ეს ამ შემთხვევაში და ვერ დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან გამოდის, რომ უნდა დააყენონ კითხვის ნიშნის ქვეშ ზოგადად კოლეჯის ავტორიზების საკითხი, თუ იქ რამე პრობლემაა და უსაფრთხო გარემოში არ სწავლობენ სტუდენტები. მან საბჭოს წევრებსაც მიმართა დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრება, უნდა გაამახვილონ თუ არა ყურადღება სახანძრო უსაფრთხოების საკითხზე.

ნატო მეზურიშვილმა თქვა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება თავმჯდომარის მოსაზრებას. მან იცის ამ კოლეჯის შესახებ და იცის, რომ ხარისხიანად მიმდინარეობს სწავლის პროცესი და მით უმეტეს, თუ მხოლოდ ის ხარვეზია დაფიქსირებული, რომ ტრენინგი გააკეთოს ერთხელ თანამშრომლებისთვის, ამით ვერ ჩათვლის, რომ სახანძრო უსაფრთხოება იქ არ არის მოგვარებული.

ქრისტინე მეფარიშვილმა განაცხადა, რომ მას აქვს სხვა სახის კითხვა. ეს არის გადამზადების პროგრამა, თუმცა როდესაც სწავლა იწყება ნოლიდან და პროგრამაში ვხედავთ ნოლიდან იწყება ყველა ტიპის ინფორმაციის გაცნობა, მაშინ ეს შეიძლება იყოს არა გადამზადების, არამედ მომზადების პროგრამა, პირველი საფეხური, რომელსაც შეიძლება დაერქვას ქართულენოვანი რეგიონალური ტურისტული მეგზური და გადამზადება შეიძლება იყოს უკვე ამ ყველა ცოდნაზე დაფუძნებული და წინაპირობაში იქნება უცხო ენის ცოდნა. ამ შემთხვევაში პროგრამა იქნება გადამზადების და არ დაიწყება ნოლიდან სწავლება. გამომდინარე აქედან, მას ტექნიკური კითხვა აქვს: თუ პროგრამა შემოტანილია, როგორც გადამზადების პროგრამა, ეს მომზადების ხომ ვერ გახდება, ერთთვის ვადის მიცემით ეს ხომ ვერ შეიცვლება და ამ შემთხვევაში რა პოზიცია აქვთ?

დაწესებულების წარმომადგენელმა დაზუსტების მიზნით განაცხადა, რომ მათი პროგრამა, რაც არის წარმოდგენილი, გადამზადების პროგრამაა და ის აიგო დამსაქმებელთან და პარტნიორთან ურთიერთობით. მათ პირველ ნაკადს და მეორე ნაკადს პარტნიორი მთლიანად უზრუნველყოფს, მათთვის მნიშვნელოვანია არსებული გამოცდილება უკვე მოქმედი გიდების, რომლებიც შეიძენენ დამატებით უნარებს ამ პროგრამის გავლის შემდეგ, ანუ უკვე გამოცდილი გიდები მიიღებენ ამ პროგრამაში მონაწილეობას.

ქრისტი მეფარიშვილმა უპასუხა, რომ თვითონ არ არის ამ დარგის ექსპერტი, მაგრამ თემატიკას რასაც უყურებს, თვითონაც რომ მივიდეს, ნოლიდან ისიც ისწავლის, რასაც დაეთანხმა გიორგი გამყრელიძეც.

ნათია კვიციანს კითხვა ჰქონდა დაშვების კრიტერიუმთან დაკავშირებით. პროგრამაში წერია, რომ 1 წლის გამოცდილება უნდა ჰქონდეს და 18 წელი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია და რუკების

შედგენას 18 წლის ახალგაზრდა ნამდვილად ვერ შეძლებს. ამას გამოცდილებაც და განათლებაც სჭირდება, კვალიფიციური ადამიანი სჭირდება ასეთი ტიპის კურსის მიღებას.

დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა მას და აღნიშნა, რომ ამითაც იგულისხმება, რომ პროგრამა არის სწორედ გამოცდილი გიდებისთვის, რომლებიც რამდენიმე წელი მუშაობენ სხვადასხვა დაწესებულებაში. ამ შემთხვევაში ენაზე არაფერს ამბობს, რადგან ისინი სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე გიდები არიან და ეს საკითხი მათი აზრით, მოგვარებულია. ისინი ასწავლიან უნარებს. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რომელ ენაზე განახორციელებენ ისინი ამ უნარების გამოყენებას, ეს უკვე გამომდინარეობს იქედან, რომელ კომპანიას რა აწყობს.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა კოლეჯი სარგებლობს ავტონომიურობით და ყველამ თავად უნდა გადაწყვიტოს, მომზადება იყოს თუ გადამზადება, რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით, დაწესებულებას მიეცემა ერთი თვის ვადა ზემოაღნიშნულის მოსაფიქრებლად და დასახვეწად.

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა, ლელა სამხარაძემ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გარდა იმისა, რომ კოლეჯი ავტორიზებულია, ტრენინგების ჩატარება კოლეჯს გაწერილი აქვს გაუმჯობესების გეგმაში, ეს ახალი არ არის კოლეჯისთვის, ამაზე ნაფიქრია, გაუმჯობესების გეგმაშიც დაფიქსირებულია ეს საკითხი და დაგეგმილია, რომელ თვეში უნდა განხორციელდეს. კოლეჯს უსაფრთხოების სპეციალისტიც ჰყავს და ეს საკითხები გათვალისწინებული აქვს.

საბჭოს წევრებს განსხვავებული მოსაზრება სახანძროსთან დაკავშირებით არ ჰქონდათ.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კითხვები აღარ იყო და საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადისთვის“ „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

განესაზღვრა ა(ა)იპ - კოლეჯი „განთიადის“ „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01085/ პროფესიული გადამზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

რადგან 24 ივნისის საბჭოს სხდომაზე ბოლო საკითხის კენჭისყრა ტექნიკურად ვერ მოხერხდა, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „აისისთვის“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8 (ნათია კვიციანი არ მონაწილეობდა კენჭისყრაში)

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:


განესაზღვრა სსიპ - კოლეჯ „აისს“ – „რეგიონული ტურის მეგზურის“ /01087/ პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ერთთვიანი ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, 13:45 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
გამყრელიძე გიორგი



დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01091	სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში (SPA) მუშაობა	პროფესიული მომზადება	მეხუთე	8	ქართული	80	ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი №18-22

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01094	ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამაში მუშაობა	პროფესიული მომზადება	მესამე	9	ქართული	10	ქ. რუსთავი, შარტავას გამზ. №4